„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * დეკემბერი. 2023 * (10)93

ჩვენო თანამემამულენო, გილოცავთ ლამლიგ შობა-ახალ წელს!

ძვირფასო ასპინძელებო!

გილოცავთ დამდეგ ახალ-წელს!

ახალი წელი ახალ შესაძლებლობებთან, პერსპექტივებთან და ახალ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. ჩვენი ძირითადი პრიორიტეტია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სოციალური, კულტურული, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის და განათლების მიმართულებით.

მომავალი წლის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს ყველა მიმართულებით. ასპინძის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტად კვლავ რჩება ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობის გაუმჯობესება. ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსება.

2024 წელს დასახული გეგმებიდან მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი იქნება ინფრასტრუქტურული პროექტები, ტურისტული პოტენციალის გაზრდა, უკეთესი ჯანდაცვა, განათლება, სრული გაზიფიცირება და სოციალური უზრუნველყოფა ჩვენი მოქალაქეების საჭიროებასთან საპასუხოდ.

ამასთან ყველანაირად ვცდილობთ ჩვენი მუნიციპალიტეტი გავხადოთ ყველაზე წარმატებული, სადაც თითოეული ოჯახი კომფორტულად და ღირსეულად იცხოვრებს.

კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ დამდეგი ახალი _ 2024 წელი და ღმერთმა ჰქნას იგი მშვიდობის, ჯანმრთელობის, სიკეთის, ბედნიერების, ხვავის, ბარაქის, წინსვლისა და წარმატების მომტანი წელი ყოფილიყოს თქვენთვის, თქვენი ოჯახებისა და სრულიად საქართველოსათვის.

მშვიდობა სუფევდეს თითოეული თქვენთაგანის გულში!

როსტომ მაგრაძველიძე,
ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მიმდინარე წლის 22 ნოემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა რიგგარეშე სხდომა.

სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის და 2024-2027 წლების

პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ;

დეპუტატებმა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი საკუთარი მოსაზრებებით, ინიციატივებითა და წინადადებებით გადაუგზავნეს მერიას შემდგომი განხილვისათვის.

მუნიციპალიტეტის მომავალი წლის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში ძირითად პრიორიტეტებად ინფრასტრუქტურა, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური მიმართულებებია განსაზღვრული.

სხდომაზე დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებს შესაბამისი პასუხები გასცეს პროექტის ავტორებმა.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე.

მაკა ბერიძე

მშვიდობიანი წელი მოგველოცოს!

ძვირფასო ასპინძელებო,

კიდევ რამდენიმე დღე და ისტორიის საკუთრება გახდება 2023 წელი. ახალი წლის მოახლოება ნებისმიერ ადამიანში ბადებს ახალ იმედებს, კარგი ცხოვრების და, რაც მთავარია, მშვიდობის მოლოდინს, რამეთუ დღევანდელ ურთულეს ეპოქაში, რომელშიც ჩვენც გვიხდება ცხოვრება, მშვიდობა გახდა უპირველესი სანატრელი, რადგან სწორედ მშვიდობაზეა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის ზრდაც, კარგი ცხოვრებაც და ოჯახური ბედნიერებაც.

მას შემდეგ რაც ჩვენმა ქვეყანამ ნანატრი დამოუკიდებლობა მოიპოვა, წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე, თორემ ძმათამკვლელი ომიც ვნახეთ, სახელმწიფო გადატრიალებაც და, ჩვენდა საუბედუროდ, რუსეთ-საქართველოს უთანასწორო ომიც.

ახლა, როცა შუაგულ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში სისხლისმღვრელი ომები მიმდინარეობს და, არავინ იცის კიდევ სად აფეთქდედა დენთის კასრი, კიდევ რა გამოწვევების წინაშე დადგება ცივილიზებული ევროპა, რომელთა გლობალურმა პოლიტიკამ თავად ევროპა დააყენა უდიდესი საშიშროების წინაშე, ჩვენ პატარა ქვეყანასაც ემუქრება დიდი გამოწვევები და როგორი კატაკლიზმების წინაშე აღმოვჩნდებით, ნათელი წარმოსადგენია, თუ, რა თქმა უნდა, გარე და შინა არაკეთილსაიმედო ძალებმა ძირი არ გამოუთხარეს ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკას.

ყველა კარგად ვხედავთ, რომ რუსეთ-უკრაინის, ახლო აღმოსავლეთის ომებმა სხვებთან ერთად, ჩვენს ეკონომიკაზეც იმოქმედა, ეს კი პირველ რიგში მოქალაქეთა ჯიბეებს აშკარად დაეტყო, კარგი ცხოვრების იმედით ბევრი ჩვენი თანამემამულე გადახვეწილია უცხოეთში, კატასტროფული მდგომარეობა შეექმნა ქართულ გენოფონდს, გაჭირვება ბევრის თანამგზავრი გახდა, მაგრამ გვჯერა, სანთელ საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს. ქართველი კაცი უარეს დღეშიც აღმოჩენილა, მაგრამ დრო გამხდარა მისი მკურნალი და ჩვენც გვჯერა, მალე ჩადგება კალაპოტში ყველაფერი, დადგება დრო, როცა სიმშვიდე დაისადგურებს ქვეყნიერებაზე და ომებით გამოწვეულ ტკივილებს ადრე თუ გვიან მოიშუშებს ერი და ბერი.

ამასთან გვჯერა, სულ მალე ვროკავშირისაკენ აღებული კურსი საბოლოოდ ხორცს შეისხამს და გავხდებით ევროპული დიდი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი, რამაც უნდა მოგვიტანოს მშვიდობა და ბედნიერება. საქართველომ ეს დაიმსახურა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, კულტურით, მრწამსით!

ძვირფასო ასპინძელებო, წრფელი გულით გვინდა მოგილოცოთ ახალი 2024 წელი, ფეხბედნიერი ყოფილიყოს იგი თითოეული თქვენგანის ოჯახებისთვის და ღმერთმა მრავალ ახალ, უკეთეს წელს დაგასწროთ, ხვავი და ბარაქა არ მოგკლებოდეთ, ერთმანეთის მიმართ პატივისცემა და სიყვარული დაგბედებოდეთ, ქვეყნის ერთიანობა არა მარტო ნატვრა ყოფილიყოს, არამედ დამდგარიყოს დრო, რომ ერთიან საქართველოში გვეცხოვროს.

გაზეთ „ასპინძის სიახლენის“
სარედაქციო კოლეგია

ერეკლე მეორის ქუჩა სახეს იცვლის

მიმდინარე წელს ხშირად ვიუწყებოდით, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით ბევრი ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც ტურიზმის განვითარების, ასევე მოსახლეობისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის.

ამ პერიოდში დაბის მოსახლეობისათვის ყველაზე დიდი საჩუქარი მაინც რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოდ რეაბილიტირებული კულტურისა და დასვენების პარკი იყო. სასოფლო გზებისა და ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოებზე რომ არაფერი ვთქვათ, მომავალი წლის ბიუჯეტით კიდევ ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებას უნდა ველოდოთ. განსაკუთრებით უმნიშვნელოვანესი მაინც ერეკლე მეორის ქუჩის მეორე ეტაპის გაგრძელება იქნება და, ვიმედოვნებთ, იგი დაბის პასპორტი უნდა გახდეს. მანამდე კი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს და უკვე ნათლად ჩანს რაოდენ სილამაზეს შეიძენს იგი და როგორც მომავალში იგეგმება, ანალოგიურად სხვა ქუჩებზეც განხორციელდება მსგავსი პროექტები.

პროექტის ფარგლებში ძირითადად დასასრულს უახლოვდება საყრდენი კედლების მშენებლობა და მათი მოპირკეთება.

სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ,,ნდს მშენებლობა'' აწარმოებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 886 800 ლარს შეადგენს.

თმოგველები საახალწლოდ ჯაჩვ საჩუქარს მიიღებენ

იწურება 2023 წელი, წელი, რომელიც ბევრი სასიკეთო საქმით დაამახსოვრებს თავს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. ცხადია, ყველაფრის გაკეთება ერთდროულად შეუძლებელია, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ მოსახლეობისათვის საჭირო და აუცილებელი საკითხები რომ მოგვარდება, ესეც დიდი საქმეა. უპირველესად კარგი საქმე იმ თვალშისაცემი ობიექტების მიმართ ვლინდება, რომელიც საერთო-სახალხო საკუთრებას წარმოადგენს და სახელმწიფოს ზრუნვა ამ ობიექტების მიმართ აუცილებელი და საშურია.

კარგი დიასახლისობა იქიდან ჩანს, როცა მისი ეზო-კარი სუფთად, აკურატულად არის მოვლილი და თვალშისაცემი არაა მის გარშემო არსებული უწესრიგობა. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ ობიექტების მიმართ დიდი ყურადღება და მათი ხალხის სამსახურში ჩაყენება დაისახა მიზნად მუნიციპალიტეტის მერიამ, როდესაც ძველი, ამოტიზირებული ობიექტების აღდგენა დაისახა მიზნად.

ცხადია, ყველაფერს ახალს ვერც ააშენებ, მაგრამ რაც გვაქვს მისი გამოყენებით შენობასაც გადავარჩენთ და საბიუჯეტო სახსრებსაც მნიშვნელოვნად დავზოგავთ.

ასე მოხდა სოფელ თმოგვის სინამდვილეში, როდესაც ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ სოფლის ეგრეთ წოდებული კლუბის რეაბილიტაცია დაიწყო. მას თითქმის 50 წელია არ ჩატარებია არათუ კაპიტალური, არამედ მიმდინარე კოსმეტიკური რემონტიც კი და, აი ახლა, როგორც ვხედავთ, სულ მალე თმოგველებს ევროსტანდარტის დონეზე გარემონტებული კლუბი ექნებათ, სადაც რიგი კულტურული დანიშნულების ობიექტი განთავსდება.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შენობის სრული რეაბილიტაცია, სცენის მოწყობა და სახურავის შეცვლა.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,ნუკია''ასრულებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 173 333 ლარს შეადგენს.

ეიდასასოფლო გზებს მეტი ყურადღება

ვისაც კი ამ რამდენიმე წლის წინ ასპინძის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან ერთ-ერთ ყველაზე დაცილებულ სოფელ მირაშხანში გაუვლია, ალბათ ყურადღებას უპირველესად იმას მიაქცევდა თუ რაოდენ საჭიროებდა იგი სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას, რამეთუ მისი არსებობის ისტორია არც თუ ისე დიდ პერიოდს მოიცავს. მოუწესრიგებელი სოფლის შიდა გზების გამო, განსაკუთრებით უამნიდობის პერიოდში, ძალზე გაძნელებული იყო სოფლის მცხოვრებთა შიდა გადაადგილება, რაც მათ დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში, აქაც დღის წესრიგში დადგა სოფლის შიდა გზებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ამ მიზნით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით აქტიურად დაიწყო შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები და სოფლის მოსახლეობა ახალ წელს კეთილმოწყობილი და ახლადრეაბილიტირებული შიდაგზებით შეხვდება.

სარეაბილიტაციო სამუშაობი ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია შპს "მშენსერვისმა" შეასრულა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 168 565 ლარს შეადგენს.



ოთელებს უკეთესი ინფრასტრუქტურა ექნება

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, მიმდინარე წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთაში არაერთი მნიშვნელოვანი სოფლისთვის საჭირო პროექტი განხოციელდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი სოფლის იერსახის გაუმჯობესებასა და მოსახლეობისათვის თანამედროვე დონის ინფრასტრუქტურის შექმნას. სხვა ღონისძიებებთან ერთად ცოტა ხნის წინ დაიწყო და მოსახლეობა კიდევ ერთ კარგ საჩუქარს მიიღებს – რეაბილიტაცია უტარდება შიდა გზების ძირითად ნაწილს.

აღნიშნულ სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,არალი'' აწარმოებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 196 012 ლარს შეადგენს.

მიმდინარე პროექტით მოეწყობა ასფალტო/ბეტონის გზა.

შიდა გზის სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

ტოლოშელ ახალგაზრდებს უკვე აქვთ ახალი სპორტული მოედანი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მკითხველს გავაცანით იმ საინტერესო პროექტის თაობაზე, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივითა და დიდი მხარდაჭერით სოფელ ტოლოშში დაიწყო და სულ ახლახან სოფლის ახალგაზრდობამ კარგი საჩუქარი მიიღო. საექსპლოატაციოდ გადაეცა თანამედროვე სტანდარტების დონეზე ახლადაშენებული სპორტული მოედანი, რომელიც საზეიმოდ გახსნა სოფლის მცხოვრებლებთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ.



პროექტის ფარგლებში მოეწყო ღია სპორტული მოედანი, რომელიც განკუთვნილია როგორც ფეხბურთის, ასევე კალათბურთის სათამაშოდ. ამასთან სპორტული მოედანი აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.

როგორც ვიუწყებოდით დღემდე ტოლოშელებს არ ჰქონიათ სპორტული მოედანი და ამ ფუნქციას სკოლის ეზოში მდებარე პატარა მოედანი ასრულებდა.

დაბა ასპინძაში ჩიხების ინვენტარიზაცია დაიწყო

აღნიშნული ჩიხი, რომელიც ერეკლე მეორის ქუჩის ბოლოში, სოფელ ოთისაკენ მიმავალი გზის მარჯვება მხარეზე მდებარეობს, ძნელად თუ წარმოდგენდა ვინმე, რომ უახლოეს ხანში შესაძლებელი თუ გახდებოდა მასზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. ფეხით მოსიარულეთათვის ძალზე ჭირდა აღნიშნულ დასახლებულ პუნქტში უსაფრთხოდ გადაადგილება. ის კი არა, უამინდობის დროს მსუბუქი ავტომანქანით გადაადგილება თითქმის შეუძლებელი იყო და დასამალი როდია, რომ იქაური მაცხოვრებლები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ წლევანდელი წლის ბიუჯეტიდან გამოყო შესაბამისი ასიგნებანი უბნის მცხოვრებლების წინაშე მდგარი ამ დიდი პრობლემის მოგვარებისათვის.

როგორც პროექტით არის გათვალისწინებული, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები განსაზღვრულ ვადებში დამთავრდება და ერთხელ და სამუდამოდ პრობლემის მოგვარებას წერტილი დაესმება.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,არალი'' აწარმობეს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 210 526 ლარს შეადგენს.

პროექტით დაგეგმილია ასფალტო/ბეტონის საფარის და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

განცხადება

გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) მიერ მხარდაჭერილი პროექტის – „აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოწყვლად ეკოსისტემებსა და სასოფლო დასახლებებში“ – ფარგლებში კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus) აცხადებს კონკურსს სამცხე-ჯავახეთში ვაზის მესხური ჯიშების საცდელი სანერგე მეურნეობის მოწყობის მიზნით ფერმერული მეურნეობის მიწის ნაკვეთის შესარჩევად



კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus) აცხადებს შესარჩევ კონკურსს **სამცხე-ჯავახეთში ვაზის მესხური ჯიშების საცდელი სანერგე მეურნეობის მოსაწყობად ფერმერული მეურნეობის მიწის ნაკვეთის შესარჩევად,** გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) საგრანტო პროექტის – **„აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოწყვლად ეკოსისტემებსა და სასოფლო დასახლებებში“** – ფარგლებში.

პროექტი მიზნად ისახავს აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის დანერგვის გზით ადგილობრივ დონეზე შემოსავლების ზრდის მხარდაჭერას და ამისათვის სამცხე-ჯავახეთში ვაზის ადგილობრივი ენდემური ჯიშის აღდგენა-გავრცელებასა და აგროწარმოებაში დანერგვის ხელშეწყობას.

ხსენებული მიზნის მისაღწევად, მთელ რიგ ღონისძიებებთან ერთად, პროექტი ითვალისწინებს ვაზის მესხური ჯიშების საცდელი სანერგე მეურნეობის მოწყობას და მისთვის შესაბამისი აგროტექნიკური დახმარების გაწევას - 2024-2026 წ.წ.-ის განმავლობაში.

კონკურსში მონაწილეობა: კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებმა ფიზიკურმა პირმა, რომელიც საკუთრებაში ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს *ასპინძის ან ახალციხის მუნიციპალიტეტში.*

კონკურსში მონაწილეობის განაცხადი: განაცხადის ფორმის ჩამოტვირთვა შესაძლებელია კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) ვებ-გვერდიდან: https://rec-caucasus.org/announcements-vacancies/announcements

იხ. ვებ-გვერდზე ატვირთული ფაილი - კონკურსის განაცხადის ფორმა:

Application Form_Competition_052RECC-G-GEF-AGROBIO-2301-a1.docx

კონკურსში მონაწილეობის განაცხადის ადგილზე მიღება: საჭიროების შემთხვევაში განაცხადის ამობეჭდილი ფორმის მიღება შესაძლებელია სსიპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ შესაბამისი მუნიციპალიტეტის სოფლის-მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში.

ხელშეკრულების გაფორმება: კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვითი ცენტრსა (REC Caucasus) და კონკურსის შედეგად შერჩეული ფერმერული მეურნეობის მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს/ფერმერს შორის გაფორმდება შეთანხმება თანამშრომლობის თაობაზე.

ხელშეკრულების საგანი: ხელშეკრულების საგანი იქნება წინასწარი შეთანხმება ვაზის მესხური ჯიშების სანერგე მეურნეობის მოწყობისა და მართვის ხელშესაწყობად თანამშრომლობის შესახებ.

შერჩევის კრიტერიუმები: ფერმერული მეურნეობის მიწის ნაკვეთის შერჩევა მოხდება ორ ეტაპად.

პირველ ეტაპზე, ფერმერული მეურნეობის მიწის ნაკვეთის შერჩევა მოხდება მათ მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტის „კრიტერიუმები სამცხე-ჯავახეთში ვაზის მესხური ჯიშების საცდელი სანერგე მეურნეობის მოსაწყობად ფერმერული მეურნეობის მიწის ნაკვეთის შესარჩევი კონკურსისათვის“ საფუძველზე. შეირჩევა 2 ან 3 ნაკვეთი.

მეორე ეტაპზე, მოხდება შერჩეული ნაკვეთების ადგილზე დათვალიერება და შეფასება დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ სპეციალისტების მონაწილეობით.

საბოლოო ეტაპზე, გადაწყვეტილება მიიღება შემოთავაზებული ნაკვეთების საველე შესწავლის შედეგების საფუძველზე და შეირჩევა 1 (ერთი) ფერმერული მეურნეობის მიწის ნაკვეთი ვაზის მესხური ჯიშების საცდელი სანერგე მეურნეობის მოსაწყობად. საბოლოოდ შერჩეულ ფერმერული მეურნეობის მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან/ფერმერთან გაფორმდება შეთანხმება თანამშრომლობის თაობაზე.

კონკურსში მონაწილეობის კრიტერიუმები და ასევე საბოლოოდ შერჩეული მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან/ფერმერთან გასაფორმებელი შეთანხმების ტექსტი: აღნიშნული დოკუმენტების ჩამოტვირთვა შესაძლებელია კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) ვებ-გვერდიდან: *https://rec-caucasus.org/announcements-vacancies/announcements*

იხ. ვებ-გვერდზე ატვირთული შესაბამისი ფაილები გადმოსაწერად:

კრიტერიუმები - 052RECC-G-GEF-AGROBIO_a1_Criterias for the Selection of plot for Pilot Vine Nursery.docx

შეთანხმების ტექსტი - 2301-a1_PSFA_AGREEMENT TEMPLATE FOR FARMER_Vine Nursery_052-AGROBIO.docx

საკონკურსო განაცხადი უნდა იყოს ხელმოწერილი და ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი PDF-ფორმატში. ელექტრონული ფოსტის სათაურში (Subject) მითითებული უნდა იყოს კონკურსის ნომერი: **052/RECC/G/GEF/AGROBIO-2301-a1**, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდება შემოთავაზების იდენტიფიცირება.

საკონკურსო განაცხადი: საკონკურსო განაცხადი გამოგზავნილი უნდა იყოს შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:

marika.kapanadze@rec-caucasus.org

კონკურსში განაცხადების წარდგენის ვადა: 2023 წლის 20 დეკემბერი

კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი

განცხადება

გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) მიერ მხარდაჭერილი პროექტის „აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოწყვლად ეკოსისტემებსა და სასოფლო დასახლებებში“ ფარგლებში კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus) აცხადებს კონკურსს სამცხე-ჯავახეთში ხორბლის მესხური ჯიშების საცდელი სათესლე მეურნეობის მოწყობის მიზნით ფერმერული მეურნეობის მიწის ნაკვეთის შესარჩევად.

პროექტი მიზნად ისახავს აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის დანერგვის გზით ადგილობრივ დონეზე შემოსავლების ზრდის მხარდაჭერას და ამისათვის სამცხე-ჯავახეთში ხორბლის ადგილობრივი ენდემური ჯიშის აღდგენა-გავრცელებასა და აგროწარმოებაში დანერგვის ხელშეწყობას.

ხსენებული მიზნის მისაღწევად, მთელ რიგ ღონისძიებებთან ერთად, პროექტი ითვალისწინებს ხორბლის მესხური ჯიშების საცდელი სათესლე მეურნეობის მოწყობას და მისთვის შესაბამისი აგროტექნიკური დახმარების გაწევას - 2024-2026 წ.წ.-ის განმავლობაში.

კონკურსში მონაწილეობა: კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებმა ფიზიკურმა პირმა, რომელიც საკუთრებაში ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის ან ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

კონკურსში მონაწილეობის განაცხადი: განაცხადის ფორმის ჩამოტვირთვა შესაძლებელია კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) ვებ-გვერდიდან: https://rec-caucasus.org/announcements-vacancies/announcements

იხ. ვებ-გვერდზე ატვირთული ფაილი - კონკურსის განაცხადის ფორმა:

Application Form_Competition_052RECC-G-GEF-AGROBIO-2301-a1.docx

კონკურსში მონაწილეობის განაცხადის ადგილზე მიღება: საჭიროების შემთხვევაში განაცხადის ამობეჭდილი ფორმის მიღება შესაძლებელია სსიპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ შესაბამისი მუნიციპალიტეტის სოფლის-მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში.

ხელშეკრულების გაფორმება: კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვითი ცენტრსა (REC Caucasus) და კონკურსის შედეგად შერჩეული ფერმერული მეურნეობის მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს/ფერმერს შორის გაფორმდება შეთანხმება თანამშრომლობის თაობაზე.

ხელშეკრულების საგანი: ხელშეკრულების საგანი იქნება წინასწარი შეთანხმება ხორბლის მესხური ჯიშების სათესლე მეურნეობის მოწყობისა და მართვის ხელშესაწყობად თანამშრომლობის შესახებ.

შერჩევის კრიტერიუმები: ფერმერული მეურნეობის მიწის ნაკვეთის შერჩევა მოხდება ორ ეტაპად.

პირველ ეტაპზე, ფერმერული მეურნეობის მიწის ნაკვეთის შერჩევა მოხდება მათ მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტის „კრიტერიუმები სამცხე-ჯავახეთში ხორბლის მესხური ჯიშების საცდელი სანერგე მეურნეობის მოსაწყობად ფერმერული მეურნეობის მიწის ნაკვეთის შესარჩევი კონკურსისათვის“ საფუძველზე. შეირჩევა 2 ან 3 ნაკვეთი.

მეორე ეტაპზე, მოხდება შერჩეული ნაკვეთების ადგილზე დათვალიერება და შეფასება დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ სპეციალისტების მონაწილეობით.

საბოლოო ეტაპზე, გადაწყვეტილება მიიღება შემოთავაზებული ნაკვეთების საველე შესწავლის შედეგების საფუძველზე და შეირჩევა 1 (ერთი) ფერმერული მეურნეობის მიწის ნაკვეთი ხორბლის მესხური ჯიშების საცდელი სათესლე მეურნეობის მოსაწყობად. საბოლოოდ შერჩეულ ფერმერული მეურნეობის მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან/ფერმერთან გაფორმდება შეთანხმება თანამშრომლობის თაობაზე.

კონკურსში მონაწილეობის კრიტერიუმები და ასევე საბოლოოდ შერჩეული მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან/ფერმერთან გასაფორმებელი შეთანხმების ტექსტი: აღნიშნული დოკუმენტების ჩამოტვირთვა შესაძლებელია კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) ვებ-გვერდიდან: https://rec-caucasus.org/announcements-vacancies/announcements

იხ. ვებ-გვერდზე ატვირთული შესაბამისი ფაილები გადმოსაწერად:

კრიტერიუმები - 052RECC-G-GEF-AGROBIO_a1_Criterias for the Selection of plot for Wheat Seed Bank.docx

შეთანხმების ტექსტი - 2301-a1_PSFA_AGREEMENT TEMPLATE FOR FARMER_Wheat Seed Bank_052-AGROBIO.docx

საკონკურსო განაცხადი უნდა იყოს ხელმოწერილი და ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი PDF-ფორმატში. ელექტრონული ფოსტის სათაურში (Subject) მითითებული უნდა იყოს კონკურსის ნომერი: 052/RECC/G/GEF/AGROBIO-2301-a1, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდება შემოთავაზების იდენტიფიცირება.

საკონკურსო განაცხადი: საკონკურსო განაცხადი გამოგზავნილი უნდა იყოს შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:

marika.kapanadze@rec-caucasus.org
nino.rostamashvili@rec-caucasus.org

კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნება ზემოაღნიშნულ ვებ-გვერდზე.

კონკურსში განაცხადების წარდგენის ვადა: 2023 წლის 20 დეკემბერი

კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი

ჟურნალი ნაკადული, 1913 წელი. N6

ძველი მესხური თამაშები

ხუთკაცრიანობა

ავიღებთ ხუთ კენჭს. მოშორებით გავაკეთებთ ორმოს. ორმოსგან მოშორებით გავავლებთ ხაზს. ვთამაშობთ ხუთნი. ხელში გვიკავია ხუთივე კენჭი. თუ ერთი კენჭი ჩავარდა ორმოში, მაშინ ვეძახით ვირს, თუ ორი – ვეზირს, თუ სამი – ცხენს, თუ ოთხი – ბატონს, თუ ხუთი – მეფეს. თუ სუყველანი არიან: ვირი, ვეზირი, ცხენი, ბატონი, მეფე, მერე ჩხუბობენ. ვეზირი შეჯდება ვირზე, ბატონი – ცხენზე, ზოგჯერ ვირი და ვეზირი ჩხუბობენ. დაამთავრებენ თამაშს, ისევ მეფემ უნდა ჩაყაროს, თუ ჩაყარა ოთხი, მაშინ ბატონი გახდება, თუ ერთი – ვირი.

კეკე-კეკე მალულია

ვთქვათ, 8 კაცია. ოთხი ერთ მხარეს გავა, ოთხი – მეორე მხარეს. დაუმალავენ კენჭსა. ერთი სერჟანტია, ერთ მხარეზე, მეორე – მეორეზე. პირველი სერჟანტი დაუმალავს მეორე სერჟანტს კენჭს. ვინც გამოიცნობს, ისინი წავლენ დასამალად, ვისაც ჩარჩება, ისინი დახუჭავენ თვალებს. პირველი სერჟანტის ჯგუფი დამალულია, ზოგი ასზე რიგდება, ზოგი ნაკლებზე, ზოგი მეტზე. აახილავენ თვალებს და მოძებნიან. თუ მოასწრეს, მეორეთ ახუჭინებენ კიდევ, თუ ვერცერთმა ვერ მოასწრო, ეხლა მეორენი დაიხუჭებენ. რომ ჩაითვალოს, საჭიროა საზღვარზე მისვლა, დანიშნულ ადგილზე.

წითელ-თეთრებინა

ამაშიც რამდენი კაციც გინდა, იმდენი შეიძლება. ესენიც გარიგდებიან და გაიყოფიან ორად. ორივეს აქვთ ამალები. შუაზეა გავლებული დიდი ხაზი. გაიქცევა ერთი ჯგუფიდან ერთი კაცი, თუ ხელი მოასწრო მეორე ჯგუფის კაცმა, იქვე დადგება. ის უკვე მკვდარათ ითვლება, ნება არა აქვს წავიდეს თავის მხარეზე. ისევ იმ ჯგუფიდან წავა სხვა კაცი და ხელს დასცხებს იმას და გააცოცხლებს. ორივენი გაიქცევიან. შეიძლება ორთავენი დახოცონ. ორივე მხარეზე დევს ან ქუდი, ან ყელსახვევი, რომელსაც ქვია ამალი. მთავარი მიზანია ამ ამალის გატანა თავის მხარეზე. ეს თამაში სირბილითაა. რო მოწყინდებათ, დაამთავრებენ თამაშს.

ჭრე-კინკილა

შემოხაზავენ წრეხაზს. გაიყოფიან ორ ტოლ ნაწილად. გათვლით ან ზოგჯერ ისედაც გაიყოფიან. დამალავენ კენჭს. თუ პირველმა ჯგუფმა დაუმალა კენჭი და გამოიცნო მეორე ჯგუფმა, პირველი ჯგუფი ჩადგება – შევა წრეში. მეორე ჯგუფიდან ერთ-ერთი კაცი კინკილით (ცალ ფეხზე) შევა წრეში და დაუვლის ბავშვებს. რომელიც ხელს დაარტყამს – ის უკვე გაჭრილია და გავა წრიდან. თუ დაიღალა, მაშინ გამოვა წრიდან და თავისი ამხანაგები დაუვლიან. თუ ყველა დასჭრეს – გამარჯვებულები არიან და ისევ ისინი შევლენ წრეში და ხელმეორედ დაიწყებენ თამაშს.

ჭრე-ბურთა

შემოვხაზავთ წრესა. გავიყოფით შუაზე. აქ თუ ბევრია, ისა სჯობია. დამალავენ კენჭსა. ვინც გამოიცნობს, ის წაიღებს ბურთსა თავის ამხანაგებით და დამალავენ. მეორე პარტია წრეშია. მოვლენ და არ იციან ბურთი ვისა აქვს და ყველას ერიდებიან (ვისაც ბურთი აქვს). ვინც ამოიღებს ბურთსა და მოარტყამს კაცსა, ის წრიდან გამოვა. მას შეუძლია მეორედ დაუაროს კიდევ, თუ ვერ მოარტყა, მაშინ ამხანაგს მისცემს ბურთსა, თუ მოარტყა, მაშინ ისევ ის დაუვლის. თუ ყველა გამოვიდა წრიდან, მაშინ გამარჯვებულები არიან.

მთქმელები:
რამაზ თადეოზის ძე მჭედლიშვილი, 12 წლის, ოთარ ირაკლის ძე გიორგაძე, 12 წლის, ტრისტან სერგოს ძე გიორგაძე, 15 წლის, ვახტანგ ერმალოზის ძე გიორგაძე, 12 წლის, ალიოშა ნიკოლოზის ძე ლონდარიძე, 13 წლის. ასპინძის რაიონის სოფელი სარო.
ჩაიწერა ნინო ღოღობერიძემ 1960 წელს

სხვადასხვა

როგორ გაღასურეს ერკოტაში სკოლა

გასული საუკუნის 50-იან წლებამდე სამცხე-ჯავახეთის უმეტეს სოფლებში საცხოვრებელი და სახელმწიფო დაწესებულებები გადახურული არ იყო თუნუქისა და „შიფრის“ სახურავებით, მხოლოდ აქა-იქ გვხვდებოდა ყავრით დახურული შენობები და მოსახლეობა მიწურ ბინებში ცხოვრობდა.

სოფელ ერკოტაში, ახალი სკოლის მშენებლობის დროს, პირველად გამოიყენეს „შიფრის“ სახურავი. გამოუცდელმა ხელოსნებმა მისი დაჭედება ზედა მხრიდან დაიწყეს და ბოლომდე ასე ჰადახურეს. ბოლოს კი კმაყოფილები დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში.

გავიდა ცოტა ხანი და ხშირი წვიმების შედეგად წვიმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩავიდა საკლასო ოთახებში ზოლებად, დაახლოებით შიფრის სიგრძეზე.

ბოლოს, დიდი სჯა-ბაასის შემდეგ, მიხვდნენ, რომ „შიფრის“ დალაგება ქვემოდან უნდა დაეწყოთ და ისე ასულიყვნენ თავში.

აგიტატორი

წინასაარჩევნოდ აგიტატორები კარდაკარ დადიოდნენ, რათა ხმები მათი სასურველი კანდიდატისათვის შეეგროვებინათ. ერთხელ ისინი დაბა ასპინძაში მცხოვრებ ამირან დიასამიძესთან მივიდნენ (მას ხმის იოგების პრობლემები ჰქონდა და ძალიან დაბალი ხმით საუბრობდა).

აგიტატორები როდესაც შეეკითხნენ, რომელ კანდიდატს აძლევდა ხმას, ამირანმა მათ გასაგონად ძლივს ჩაილაპარაკა: „სად მაქვს იმათი მისაცემი ხმა, მე ჩემი არ მყოფნისო!“

98 წლის თამაღა

ერთხელ, ასპინძაში, ჩემს სამეგობროში, სუფრის თამადად უწინ კარგად მოქეიფე, 98 წლის მოხუცი დანიშნეს. ქეიფმა დიდებულად ჩაიარა და დადგა თამადის დღეგრძელობის დრო. მაგიდის წევრებმა დიდად შეაქეს მუხუცი თამადა და ჯანმრთელობასთან ერთად დიდხანს სიცოცხლე უსურვეს. სუფრის ერთმა წევრმა დიდი გულით უსურვა თამადას 100 წლამდე სიცოცხლე, რაზედაც თამადას ძალიან დაწყდა გული, რადგან ორი წლის სიცოცხლე ძლივს გაიმეტა მისთვის.

დიმიტრი მაღრაძე

ლამაზი დღე მთავარ ბიბლიოთეკაში

2023 წლის 31 ოქტომბერს ასპინძის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა პოეტ ოთარ ჭილაძისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება.

ღონისძიების ორგანიზატორმა ნუნუ ბუჩუკურმა ოსტატურად მოახერხა ოთარ ჭილაძის პოეტურ სამყაროში მსმენელთა შეყვანა.

ლექსს სიმღერა ცვლიდა, სიმღერას – ლექსი.

ასპინძის საჯარო სკოლის IV-X კლასის მოსწავლეებმა, კულტურის ცენტრის წარმომადგენლებმა, აღნიშნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მთელი გრძნობით და მონდომებით მიიტანეს მსმენელამდე. ეს მარადიული ფასეულობები. ოთარ ჭილაძის სიტყვის ძალა და მადლი კიდევ უფრო მეტად შეიგრძნეს ღონისძიების მონაწილეებმა და ეს არის სწორედ რაც უფრო უკეთესებს გვხდის.

ჩემთვის, როგორც ერთ-ერთი მსმენელისთვის შთამბეჭდავი იყო ეს დღე, სავსე ემოციებით და იმედით, რომ იზრდება თაობა, რომელიც სიყვარულთან, სიცოცხლესთან, სიკეთესთან, თანაგრძნობასთან იქნება წილნაყარი.

სიტყვაში გამომსვლელებმა ისაუბრეს ოთარ ჭილაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ და ხაზი გაუსვეს მწერლის როლზე ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

იყო ბევრი სამადლობელი სიტყვა და დამსახურებული ოვაციები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მიზანი მიღწეული იქნა.

ასეთი ღონისძიებები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოზარდის სწორად ფორმირებას და გარკვეულწილად ხსნის ახალგაზრდობის კომპიუტერთან მიჯაჭვულობას, რაც მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა.

მისასალმებელია, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლები მხოლოდ მკითხველის მოზიდვაზე არ არიან ორიენტირებულები. მათ კარგად აქვთ გათავისებული, რომ ღონისძიების როლი უდიდესია მოზარდი თაობის აღზრდა-განვითარებისათვის.

მადლობა მათ, ამისათვის!

მაია გოლოთაშვილი

ძველი გაზეთებიდან

საქართველოს მტრების დამარცხება

თითქმის ერთი წელია, რაც საქართველოს ალყა შემორტყმულ ციხეს წარმოადგენს. სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მას ეხვია ურიცხვი მტრები, რომელთა მიზანი იყო საქართველოს დაპყრობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დანგრევა.

პირველი, რომელმაც მახვილი ასწია საქართველოს წინააღმდეგ, იყო ოსმალეთი, რომელსაც მაშინ მთავრობდა ენვერ ფაშას იმპერიალისტური პარტია და მიილტვოდა ყაზანისკენ და კასპიის მხარესკენ.

მეორე მხრით, საქართველოს ებრძოდა ბოლშევიზმი და დენიკინის რეაქციონური მხედრობა. ყველამ უწყის თუ როგორ ისახელა თავი ამ ბრძოლაში საქართველოს ჯარმა, როგორ გადაარჩინა ქვეყანა ანარქიას და ყველა რესპუბლიკათა შორის სამართლიანად მოიხვეჭა პირველობის სახელი.

ამ უკანასკნელად სხვა მრავალ მტრებს მიემატა სომხის ხალხის დამღუპველი დაშნაკელები, რომლებმაც დაღვარეს უდანაშაულო ხალხის სისხლი და თავის ნაბიჯებით სურდათ საქართველოს რესპუბლიკის დამხობა.

ყველა ამ ბრძოლებიდან საქართველო გამარჯვებული გამოვიდა. დღეს დამარცხებული ოსმალეთი, რომელიც კავკასიის მუსლიმანობას ნაცარქცვით ღაფავდა სულს, თავის სტამბოლს დასტირის და ვინ იცის, იქნებ მოკავშირეებმა მას ევროპიდან სრულიად ამოადგმევინონ ფეხი.

ხოლო დანარჩენი მტრები დამარცხებასთან ერთად იძულებულნი გახდნენ ანგარიში გაეწიათ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობისათვის. დღეს საქართველოს რესპუბლიკა ფაქტიურათ ცნობილია ყველა დიდ სახელმწიფოსაგან, რასაც ეჭვს გარეშეა დაადასტურებს პირობის კონფერენციაც.

ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ ყველა მეზობელ და შინაური მტრების მიერ, იყო პირველათ ყოველისა ბრძოლა დემოკრატიის წინააღმდეგ. რეაქცია ებრძოდა თავისუფალ ქვეყანას, ხალხს, რომელმაც საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ჩასწერა საუკეთესო ფურცლები.

ამიერიდან ისტორიულათ მტრების მიერ დაქუცმაცებული საქართველო მთლიანი გახდება. სამუსლიმანო საქართველოსთან შეერთებით საქართველო ჩადგება თავის უკეთეს ისტორიულ საზღვრებში და მტრების მიერ ერთმანეთზე დაშორებული ძმები ერთნაირად გასწევენ საერთო უღელს ხალხის საკეთილდღეოდ.

ოსმან,
„განახლებული მესხეთი“,
2 თებერვალი, 1919 წელი, N1 (20)

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია